ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 23 0001283197

02/10/2023

შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში -ის მიერ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის
დამატების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^1-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა

1. შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლებს საქართველოში (ს/კ:400147541) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 11);
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 02 ოქტომბრის N01281806 სხდომის ოქმის მეთერთმეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან;
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე:დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა